საქართველოს მთავრობის

დადგენილება №132

2022 წლის 15 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/09/2012, 010240010.10.003.017063) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“:

1. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების (გარდა სახელმწიფო ქონების პირობების გარეშე განკარგვასთან ან პირობების გარეშე სარგებლობაში გადაცემასა და სახელმწიფო ქონების რეგისტრაციასთან/სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა, ასევე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მომზადებული, სააგენტოს მიერ გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა) სამართლებრივი ექსპერტიზა;“.

2. მე-11 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) საინფორმაციო და მომსახურების ხარისხის მართვის სამსახური;

ბ) მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

გ) მონაცემთა ბაზების სრულყოფისა და ანალიზის სამსახური;

დ) ტექნოლოგიური განვითარების სამსახური;

ე) მომხმარებელთა მომსახურების სამსახური.

2. საინფორმაციო და მომსახურების ხარისხის მართვის სამსახურის ფუნქციებია:

ა) მომსახურების სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და სააგენტოს მომსახურების სტანდარტის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება;

ბ) სააგენტოს საქმიანობის სფეროში კონსულტაციებისა და მომსახურების სისტემის შექმნის, ცალკეული მომსახურებების სრულყოფისა და ახალი მომსახურებების დანერგვის, ასევე სააგენტოს მომსახურების სისტემაში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების შექმნისა და სრულყოფის თაობაზე წინადადებების მომზადება;

გ) დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობა, ელექტრონული აუქციონების ვებგვერდის – www.eauction.ge-ის საშუალებით;

დ) სააგენტოს მომხმარებელთა (მათ შორის, ელექტრონული აუქციონების ვებგვერდის – www.eauction.ge-ის მომხმარებელთა) მომსახურების სფეროში არსებული პრობლემებისა და ხარვეზების იდენტიფიკაცია და მათი აღმოფხვრის სტრატეგიის შემუშავება;

ე) სააგენტოს მომხმარებელთა (მათ შორის, ელექტრონული აუქციონების ვებგვერდის – www.eauction.ge-ის მომხმარებელთა) არსებული და პოტენციური მოთხოვნილებებისა და მოლოდინის ანალიზი და, მათი დაკმაყოფილების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების ინიციირება და განხორციელება;

ვ) თანამშრომელთათვის მომხმარებელთა მომსახურების სახელმძღვანელო სტანდარტების შემუშავება;

ზ) სააგენტოს სტრატეგიული განვითარების პროგრამისა და მისი განხორციელების გეგმის შემუშავება;

თ) სააგენტოს ცხელი ხაზის, მომხმარებელთა და ონლაინკონსულტაციის სერვისის (მათ შორის, სოციალური ქსელის) შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებისთვის ან/და მათგან ინფორმაციის მიღება;

ი) სამსახურის საქმიანობის პერიოდული ანალიზი, ანგარიშების მომზადება და წარდგენა ხელმძღვანელობის დავალების ან შესაბამისი ქვედანაყოფის მიმართვის საფუძველზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და სააგენტოს ხელმძღვანელობისთვის მიწოდება;

კ) ხშირად დასმული შეკითხვების შესახებ სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდება;

ლ) სამსახურში შესული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება.";

ბ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^{1}" ქვეპუნქტი:

„ვ^{1}) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული წილების/აქციების მიღება და მასზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;".

4. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ე.ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ბ) როდესაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილების/აქციების, უძრავი ქონებისა და მოძრავი ქონების (თუკი მისი საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება უძრავ ქონებასთან ერთად) საპრივატიზებო პირობას წარმოადგენს მხოლოდ საპრივატიზებო საფასურის გადახდა და საპრივატიზებო საფასური ნაკლებია ქონების საბაზრო ღირებულებაზე, ხოლო საბაზრო ღირებულების შეფასების განუხორციელებლობის შემთხვევაში – სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლამდე არსებულ საბალანსო ღირებულებაზე;".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**